ხელშეკრულება 6/83-11

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი

16 სექტემბერი 2011წელი

სსიპ - ,,საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო", წარმოდგენილი მისი საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსის მიხეილ ქიტიაშვილის სახით, (შემდგომში ,,შემსყიდველი"), ერთის მხრივ და შ.პ.ს. "ინფოსერვისი" მისი დირექტორის ზურაბ თეთრაძის სახით, წოდებული შემდგომში „მიმწოდებელი", მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი" თანახმაა შემსყიდველს გადასცეს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საინფორმაციო–საძიებო სისტემა – "კოდექსი–ოფისი 2007 R3" (შემდგომში "კოდექსი–ოფისი"). (CPV 48600000 "მონაცემთა ბაზისა და ოპერატიული პროგრამული პაკეტები"), "კოდექსი–ოფისი" მუშაობს ოპერაციულ სისტემებში – MS WINDOWS 7/XP sp3, და შედგება სამი პროგრამისაგან:

ა) "კოდექსი–ოფისი 2007 R3 "

ბ) და "კოდექსი–ოფისი 2007 R3– კოდიფიცირებული"

გ) "კოდექსი–ოფისი 2007 R3 – საერთაშორისო ხელშეკრულებები"

1.2. "კოდექსი–ოფისი 2007 R3 " მოიცავს:

– საქართველოს კონსტიტუციას;

– საქართველოს პატლამენტის კანონებსა და დადგენილებებს;

–საქართველოს პრეზიდენტის (პარლამენტის თავჯდომარე – სახელმწიფო მეთაურის) ბრძანებულებებსა და განკარგულებებს;

–საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და პლენუმის დადგენილებებს;

–საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (მინისტრთა საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის) ძირითად დადგენილებებს;

–საქართველოს ეროვნული ბანკის, საგადასახადო სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ 1993 წლის 1 იანვრიდან მიღებულ ძირითად კანონქვემდებარე და ნორმატიულ აქტებს (დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები დ ა.შ.);

–ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიის დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს, ბრძანებებს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებებს;

–სამინისტროების, კონტროლის პალატის, გენერალური პროკურატურის სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურების (დეპარტამენტები, კომისიები, სააგენტოები და სხვა) მრავალ დოკუმენტს.

– 1.3. "კოდექსი–ოფისი 2007 R3 კოდიფიცირებული" მოიცავს კოდიფიცირებულ საქართველოს ყველა კანონსა და კოდექსს;

1.4 "კოდექსი–ოფისი 2007 R3 – საერთაშორისო ხელშეკრულებები" მოიცავს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, ოქმებს, დეკლარაციებს, მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, საერთაშორისო კონვენციებს;

1.5. ინსტალაციის მომენტში "კოდექს–ოფისი"–ს ინფორმაციული ბაზების მოცულობა შეადგენს **61294**დოკუმენტს **(52657+4909+1864=61294)** დაახლოებით **900** მეგაბაიტ ინფორმაციას.

შემდგომში „მომსახურება", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1. "კოდექს–ოფისი 2007 R3"–ის ღირებულება ინსტალაციის მომენტში განისაზღვრება **240 (ორას ორმოცი)** ლარის ოდენობით

2.2 მონაცემთა ბაზების ყოველკვირეული ინფორმაციული განახლება ერთ კომპიუტერზე (სერვერზე) ანაზღაურდება თვეში **40 (ორმოცი)** ლარის ოდენობით, ხოლო "კოდექს–ოფისი"–ს სხვა კომპიუტერებზე დაყენების შემთხვევაში, ყოველ დამატებითი კომპიუტერისათვის აღნიშნულ თანხას თვეში დაემატება **10 (ათი)** ლარი.

2.3. გადახდა მოხდება ყოველთვიურად, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან **15** სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა თანხა მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს.

2.5 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს "კოდექს–ოფისი–ს" ინფორმაციული განახლება არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად.

3.2. "კოდექს–ოფისი"–ს ინფორმაციული განახლება შემსყიდველის სურვილის თანახმად მოხდება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

3.3. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას საინფორმაციო–საძიებო სისტემა "კოდექს–ოფისი" არასანქცირებული გამრავლებისაგან.

3.4. „კოდექსი–ოფისი"–ს მონაცემთა ბაზაში შეტანილი ნორმატიული აქტები და სხვა დოკუმენტები არ წარმოადგენს ოფიციალურ ვერსიას, ატარებს დამხმარე ხასიათს და „მიმწოდებელი" არავითარ შემთხვევაში არ იღებს პასუხისმგებლობას მათ სისწორესა და უშეცდომობაზე, ასევე ნებისმიერი სახის ზიანზე რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას ამ შეცდომების შედეგად, მათი არსებობის შემთხვევაში.

4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, რაც აისახება მიღება-ჩაბარების აქტში.

4.2 მომსახურება განხორციელდება ,,შემსყიდველის" ტერიტორიაზე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჩარგლის ქ.№67.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 იმ შემთხვევაში თუ ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურება დაწუნებულია ან ხარვეზებითაა შესრულებული, ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით, წუნდებული ან ხარვეზიანი მომსახურების მაგივრად ხარისხიანი მომსახურების გაწევის დღემდე.

5.2 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და ,,მიმწოდებელზე" დარიცხული პირსაგამტეხლოს თანხა.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სრულად არ შესყიდვის შემთხვევაში ,,შემსყიდველს" პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ,,შემსყიდველს „ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრ ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2 ხელშეკრულების პირობების და სამუშაოს შესრულებაზე ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან უზრუნველყოფს ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ვახტანგ მაისურაძე.

6.3 კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხიდან და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

7. შესყიდვების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 ,,მიმწოდებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს გაწეული მომსახურების შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე.

7.2 მომსახურების მიღების დროს აღმოჩენილი ხარვეზების შემთხვევაში ,,შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად აცნობოს ,,მიმწოდებელს" სათანადო ხარვეზების შესახებ.

7.3 ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" ვალდებულია 2(ორი) კალენდარული დღის განმავლობაში თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი.

მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ვალდებულებების შეუსრულებლობა არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებას, რომელიც არ არის დაკავშირებული მათ შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომელებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.

9. ხელშეკრულების პირობების შეცვალა, დავათა განხილვა

9.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალიწინებული შემთხვევისა.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა,

წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

9.3 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

9.4. . ეს ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ან შეიცვალოს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. გარდა ამისა, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად, ისე, რომ მას ამისთვის არ დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ შეწყვეტის შესახებ მეორე მხარეს წერილობით შეატყობინებს (დასაშვებია შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე. ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში მხარეთა შორის უნდა მოხდეს საბოლოო ანგარიშსწორება(შეწყვეტის მომენტისათვის არსებული დავალიანება).

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

6.1. ამ ხელშეკრულებას მხარეები დებენ 2011 წლის 31 დეკემბრამდე და თუ ამ ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე არც ერთმა მხარემ არ წარმოადგინა წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ სურს შეცვალოს ან გააუქმოს ხელშეკრულება, ამ

ხელშეკრულების ვადა ყოველწლიურად ავტომატურად გაგრძელდება ერთი კალენდარული წლით.

11. ხელშეკრულების სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ - ,,საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“	შ.პ.ს. „ინფოსერვისი“
	ტელ.: 2 95 10 36
ქ.თბილისი, ჩარგლის ქ. №67	ქ. თბილისი, კ.ხეთაგუროვის ქ. №4
საიდ.კოდი 200162224	საიდ.კოდი 200001229
ს/ს ,,რესპუბლიკა ბანკი“	ბანკი ,,რესპუბლიკა“
ბანკის კოდი: REPLGE22	ბანკის კოდი: 220101759
ანგარიშის № GE22BR0000010057276631	ანგარიშის № GE31BR0600003608002037
გენერალური დირექტორი	დირექტორი
----------მიხეილ ქიტიაშვილი	----------ზურაბ თეთრაძე
„----„ ---------- 2011 წ.	„----„ ---------- 2011 წ.